

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს  
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 30

ქ.თბილისი

2020 წლის 4 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 4 მარტს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ლაშა მაჭავარიანი, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის მომართვა, მატჩის მეთვალყურის ფ.გაბაძის ოქმი, მატჩის მთავარი მსაჯის ი. ჯაფარიძის წითელი ბარათის ოქმები და მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 1 მარტს, რეგიონულ ლიგაში, თბ „იბერია სპორტუნ“-სა და გორის „გორდა“-ს შორის მატჩის დროს მომხდარი ფაქტის შესახებ.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

გორის „გორდა“-ს მორაგბე იასონ ლობჯანიძე და თბ „იბერია სპორტუნ“-ს მორაგბე გოჩა იაშვილი გაძევებულ იქნენ მოედნიდან წითელი ბარათებით მსაჯის მიერ.

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

სრკ-ს საშეჯიბრო დებულების მე-5 მუხლის 29<sup>1</sup> პუნქტის გათვალისწინებით, რომლის თანახმად წითელი ბარათის მიმღები მოთმაშე ავტომატურად ტოვებს 1 (ერთი) სათამაშო კვირას, სრკ-ს სადისციპლინო კომისიამ გორის „გორდა“-ს მორაგბეს ი. ლობჯანიძეს და თბ „იბერია სპორტუნ“-ს მორაგბეს გ. იაშვილს არ დააკისრა სრკ-ს სადისციპლინო კოდექსით გათვალისწინებული სხვა რაიმე დამატებითი სასჯელი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/